ოქმი:**ო12.37222161**

თარიღი:**04/08/2022**

ოქმი № 17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 2 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, დ. მდინარაძე, ხ. თავდიშვილი, ი. თუთბერიძე, ს. ქარცივაძე, გ. სირაძე, ნ. ქარჩავა, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ .

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ხ. სურგულაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე, მისი მიღების მნიშვნელობაზე, ხოლო კომისიის წევრებს პროექტი დეტალურად გააცნო თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომლის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი